KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

VI კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	არსებითი სახელი და მისი ბრუნვა	5	10
II	ზედსართავი სახელი	5	10
III	რიცხვითი სახელი	5	20
IV	ნაცვალსახელი	5	20
V	ტექსტის გააზრება	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**30 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

VI კლასის ტესტი შედგება **5 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **30 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი ამოწმებს მორფოლოგიის (მეტყველების ნაწილების) ცოდნას, ბოლო სავარჯიშოში კი - ისტორიული ტექსტის გააზრებას.

სავარჯიშოები

I. არსებითი სახელი და მისი ბრუნვა

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

არსებითი სახელი: კითხვები, ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები, საკუთარი და საზოგადო სახელები.

მაგალითი

რომელ ბრუნვაშია სიტყვა „მეგობარს“? **ა) მიცემითში** **ბ)** სახელობითში **გ)** მოთხრობითში

სწორი პასუხი: ა) მიცემითში → „-ს“ მიცემითი ბრუნვის ნიშანია: ვის? - მეგობარს.

II. ზედსართავი სახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ზედსართავი სახელი: საგნის ნიშნის გამოხატვა, კითხვა „როგორი?“, ზედსართავის ამოცნობა სიტყვებსა და წინადადებებში.

მაგალითი

რომელია ზედსართავი სახელი? **ა) მწვანე** **ბ)** მწვანილი **გ)** სიმწვანე

სწორი პასუხი: ა) მწვანე → „მწვანე“ საგნის ნიშანს გამოხატავს და კითხვას „როგორი?“ პასუხობს; დანარჩენი ორი არსებითი სახელია.

III. რიცხვითი სახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

რიცხვითი სახელი: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები და მათი ამოცნობა.

მაგალითი

რომელია რაოდენობითი რიცხვითი სახელი? **ა)** მეშვიდე **ბ) შვიდი** **გ)** მეშვიდედი

სწორი პასუხი: ბ) შვიდი → „შვიდი“ საგნების რაოდენობას აღნიშნავს; „მეშვიდე“ რიგობითია, „მეშვიდედი“ - წილობითი.

IV. ნაცვალსახელი

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

ნაცვალსახელი: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები.

მაგალითი

რომელია ჩვენებითი ნაცვალსახელი? **ა) ეს** **ბ)** ვინ **გ)** ჩემი

სწორი პასუხი: ა) ეს → „ეს“ საგანზე მიუთითებს; „ვინ“ კითხვითია, „ჩემი“ კი - კუთვნილებითი.

V. ტექსტის გააზრება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

მოცემულია ტექსტი გრიგოლ ხანძთელისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობის შესახებ. მოსწავლე 10 შეკითხვას პასუხობს.

მაგალითი

> *1709 წელს მეფე ვახტანგ VI-მ თბილისში სტამბა დააარსა. აქ მრავალი წიგნი დაიბეჭდა, მათ შორის 1712 წელს - „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც მეფემ თავად დაუხუთო განმარტებები. ხელნაწერი წიგნი ძვირი და იშვიათი იყო, ნაბეჭდი წიგნი კი ბევრ ოჯახს შეეძლო ჰქონოდა.*

რა მნიშვნელობა ჰქონდა სტამბის დაარსებას?

ა) წიგნი უფრო ხელმისაწვდომი გახდა

ბ) მეფის სასახლე გაფართოვდა

გ) ქალაქში ვაჭრობა შეწყდა

სწორი პასუხი: ა) წიგნი უფრო ხელმისაწვდომი გახდა → სტამბაში მრავალი წიგნი დაიბეჭდა, ამიტომ წიგნი ბევრად მეტი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

მოსამზადებელი კურსი

დამატებით მოსამზადებლად მოსწავლის პროფილში ხელმისაწვდომია ოლიმპიადის **მოსამზადებელი კურსი**. კურსს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა** აქვს, ტესტის შესასრულებლად კი მოსწავლეს **1 საათი** ეძლევა. კურსის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისთვის

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!